ევროკავშირი
საქართველოსთვის
ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის
განვითარების ხელშეწყობა

# უწყებათაშორისი ფორუმი – კოოპერატივების ხელმისაწვდომობა ფინანსებზე

## *შეჯამება*

ფორუმი ჩატარდა 2016 წლის 29 ნოემბერს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული *სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების სამეზობლო პროგრამის* (ENPARD – ენპარდი) ფარგლებში, რათა მის მონაწილეებს განეხილათ **ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კუთხით** ქართული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წინაშე მდგარი მთავარი გამოწვევები. გთხოვთ იხილოთ კონფერენციის პროგრამა და შესაბამისი პრეზენტაციები (იხ. ქვემოთ).

ეს იყო სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის შესახებ გამართული დიალოგების სერიის რიგით მეოთხე ღონისძიება, რომელსაც ორგანიზება გაუწია ქეას (CARE) კონსორციუმმა. აღნიშნულ კონსორციუმში შედიან *ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი, რეგიონული განვითარების ასოციაცია* (RDA) და *საქართველოს ფერმერთა ასოციაცია* (GFA). ფორუმის ჩატარებაში საკუთარი წვლილი შეიტანეს ენპარდის განმახორციელებელმა სხვა კონსორციუმებმაც: მერსი ქორმა (Mercy Corps), ოქსფამმა (Oxfam) და პინმა (People in Need (PIN). დისკუსიებში აქტიურად მონაწილეობდა და საკუთარი პრეზენტაციები წარადგინა ბევრმა სხვა ორგანიზაციამაც. მათ შორის იყვნენ: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში, საფრანგეთის განვითარების სააგენტო (FDA), სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო (ACDA), GFA, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, TBC ბანკი და სხვა ფინანსური ინსტიტუტები, სალიზინგო კომპანიები, ბიზნეს- და საფინანსო-საკონსულტაციო ჯგუფები, კვლევითი ცენტრები და სხვა.

დეტალური ინფორმაციისთვის, გაეცანით ფორუმის კომუნიკეს.

ფორუმის შეჯამებისას, ISET-ის დირექტორმა, ერიკ ლივნიმ გააჟღერა ხშირად გამოთქმული მოსაზრება, რომ ქართველ ფერმერებსა და ფერმერულ კოოპერატივებს ფინანსებზე საკმაოდ შეზღუდული წვდომა აქვთ. ბატონმა ერიკმა აღნიშნა, რომ, სინამდვილეში, მას შემდეგ, რაც ევროკავშირს, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს სამხრეთ კავკასიაში (SDC), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკსა (EBRD) და სხვა დონორებს, რომლებიც სუბსიდირებას უწევენ ქართველი ფერმერებისთვის კომერციულ სესხებს ან სხვა მხრივ ეხმარებიან მათ, უერთდებიან ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა FDA, შესაძლოა, საქმე გვქონდეს საჭიროზე მეტი დაფინანსების არსებობასთანაც კი.

მეტაფორულად შეიძლება ითქვას, რომ, ერთის მხრივ, მთის თავზე დევს სახელმწიფოსა და განვითარების ხელშემწყობი ორგანიზაციების დიდი ოდენობის თანხა, რომელიც ფერმერებს ელოდება. მეორეს მხრივ, მთის ძირში დგას უამრავი ფერმერი, რომლებიც მაღლა ხტებიან და

ცდილობენ ხელი ჩაავლონ მთის თავზე არსებულ თანხას. ორივე მხარისთვის სამწუხაროდ, ბატონი ერიკის განცხადებით, პოტენციური დამფინანსებლები და ფერმერები დიდ სირთულეებს აწყდებიან ერთმანეთთან შესახვედრად, რადგან ფერმერებს მთაზე აცოცების შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ. მარტივად რომ ვთქვათ, საქართველოს ფრაგმენტირებულ და არაეფექტიან სოფლის მეურნეობაში არ მოიძებნება საკმარისი რაოდენობის კომერციულად გამართლებული პროექტები, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს არსებული საპროცენტო განაკვეთების პირობებში და/ან აკმაყოფილებენ ქართული ბანკების მიერ წაყენებულ მოთხოვნებს.

უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში საქართველოს მთავრობა და მისი განვითარების მხარდამჭერი პარტნიორები ვერ ახერხებენ, დაეხმარონ ფერმერებს განვითარების კიბეზე ასვლაში. ისეთი ინდივიდებისა და ჯგუფების მხარდაჭერაზე აქცენტირების ნაცვლად, რომლებსაც აქვთ პროფესიონალ ფერმერებად ჩამოყალიბების პოტენციალი, ხელისუფლება და დონორები განურჩევლად ყველას აწვდიდნენ ფულად სახსრებს მნიშვნელოვნად სუბსიდირებულ ან სრულიად განულებულ ფასადაც კი გრანტების, ვაუჩერების, უფასო ხვნა-თესვის მომსახურების, დაზღვევის ან სხვა ფორმით. მსგავსმა მიდგომამ სიცოცხლე შეუნარჩუნა არაეფექტიან ბიზნესებსა და ფერმერულ მეურნეობებს, სოფლის მაცხოვრებლები კი მეტაფორული მთის ძირში დატოვა.

ბატონი ერიკის განცხადებით, ქართული სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ფული შეზღუდვას თავისთავად არ წარმოადგენს. ყველაფერი დადის ლიდერობის, მკაფიო მიზნების განსაზღვრისა და ამ მიზნების ირგვლივ ხალხის მობილიზების უნარზე. ასეთი გამორჩეული ლიდერები შეიძლება მოიძებნონ თემებისა და სოფლების დონეზეც კი. მაგალითად, ვანში მდებარე თაფლის კოოპერატივის ხელმძღვანელი, მამა პეტრე შესანიშნავი მაგალითია იმისა, თუ როგორი გავლენის მოხდენა შეუძლიათ ადგილობრივ ლიდერებს ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე. ჩამოყალიბებული ხედვით, ქარიზმითა და საზოგადოების ნდობით აღჭურვილმა მამა პეტრემ წინ წაწია (და უფრო მაღალ დონეზე აიყვანა) მასთან დაკავშირებული 100-ზე მეტი ოჯახი. საკუთარი ინიციატივის მხარდასაჭერად, მამა პეტრეს მოუწია საგვარეულო სახლის ბანკში გირაოდ ჩადება. მცირე ხნის წინ კი, მისი ლიდერობის უნარის წყალობით, მამა პეტრე და მასთან ერთად მომუშავე ჯგუფი ენპარდმა აირჩია საქართველოში პირველი მეორე დონის კოოპერატივად.

მამა პეტრეს საქმიანობის სტარტ-აპ ხასიათიდან გამომდინარე, დამატებითი ფინანსური სახსრების მოძიება ჯერ კიდევ დიდ გამოწვევებთანაა დაკავშირებული. ბანკები ნაკლები ენთუზიაზმით აფინანსებენ კოოპერატივებს და უპირატესობას ინდივიდუალურ მსესხებლებთან ურთიერთობას ანიჭებენ. საკუთარი წევრებისათვის მომსახურების გაწევაზე ორიენტირებისას კოოპერატივებს არ აქვთ რაიმე ღირებული საგირავნო აქტივი და მათი ფინანსური შეგნებაც ვერ აკმაყოფილებს ქართული ბანკების მოთხოვნებს. ამის მიუხედავად, მამა პეტრეს თაოსნობით, ფერმერების ჯგუფი წინ მიდის და აგვარებს ნებისმიერი ტიპის კომერციული საწარმოს წინაშე მდგარ სტანდარტულ გამოწვევებს: თანდათან ავითარებს საკუთარ მენეჯმენტს და დებს ინვესტიციებს ნაწარმი თაფლის მარკეტინგსა თუ ბრენდინგში.

საქართველოში მსხვილმასშტაბიან კერძო აგრო-ბიზნესებსაც (მაგ.: „ფერეროს“ AgriGeorgia-ს), აქვთ ლიდერობის შესანიშნავი მაგალითები. კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგიის ფარგლებში, AgriGeorgia-მ გადაამზადა თხილის მწარმოებელი ათასობით ფერმერი კულტივაციისა და მოსავლის აღების შემდგომ საქმიანობის თანამედროვე მეთოდებში, რითაც გააუმჯობესა მათი მწარმოებლურობა და გაამყარა მათი კავშირი პროდუქციის

გადამამუშავებლებთან და შემსყიდველებთან. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ აქტივობებს მხარს უჭერდა USAID – იგი ზრდიდა აქტივობების მასშტაბებს და ამცირებდა „ფერეროს“ ტრენინგების ჩატარების ხარჯებს. USAID-მ და AgriGeorgia-ს ხელმძღვანელობამ გადამწყვეტი როლი ითამაშეს თხილის მწარმოებელ მცირე ფერმერებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესების საქმეშიც: მათ დააარსეს საქართველოს თხილის მწარმოებელთა ასოციაცია (GHGA) და აამუშავეს საქართველოში უდიდესი და, დიდი ალბათობით, ყველაზე წარმატებული სერვის-კოოპერატივი „დარჩელის თხილი“.

კერძო სექტორის მსხვილი მოთამაშეები, მათ შორის უცხოური ინვესტიციებით დაფინანსებული კომპანიები, განვითარებისთვის შესანიშნავ პარტნიორებს წარმოადგენენ, თუ მათი ინტერესები ემთხვევა იმ თემის/საზოგადოების ინტერესებს, რომელთანაც მათ შეხება აქვთ (მაგალითად, ნედლეულისა და მასალების მიმწოდებლები). ცალსახაა, რომ მსხვილ მოთამაშეებს გააჩნიათ კერძო სექტორის გაფართოებისთვის საჭირო მომსახურებების და მცირე და საშუალო ბიზნესის ტექნოლოგიური ბაზის სრულყოფისათვის აუცილებელი პროფესიული უნარ-ჩვევები და ფინანსური რესურსები. მაგრამ, რაც ყველაზე მთავარია, კერძო სექტორის პარტნიორებს აქვთ პირადი ეკონომიკური ინტერესი ქართული სოფლის მეურნეობის იმ ქვე-სექტორებში, რომელშიც თავად საქმიანობენ. იმ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებისგან განსხვავებით, რომელთა სპეციალიზაცია დონორების დაფინანსებული პროექტების განხორციელებაა, კერძო სექტორის მიზანი სარგებლის ხანგრძლივი ვადით მიღებაა.

ბოლოს უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კოორდინაცია და ლიდერობის უნარი შეიძლება ისეთი სახელმწიფო სტრუქტურებიდანაც მოდიოდეს, როგორიცაა, მაგალითად ACDA. სახელმწიფოს დაფინანსებული სერვის-კოოპერატივები შეიძლება იყოს კოორდინაციის წარუმატებლობის აღმოფხვრის გზა მოსავლის აღების შემდგომი საქმიანობის, შენახვა-დასაწყობების, შეფუთვის, ბრენდინგისა თუ ექსპორტის ლოჯისტიკის საკითხებში. სერვის-კოოპერატივების ორგანიზებისას მთავრობის ჩარევით დამძმებული ზემოდან ქვემოთ მიდგომის გამოყენება გამართლებულია, თუ არსებობს სუბსიდირების შეწყვეტის მოქნილი სტრატეგია, რათა ეტაპობრივად შემცირდეს სახელმწიფოს ფინანსური თუ მენეჯერული როლი ახლადშექმნილ ეკონომიკურ სუბიექტების საქმიანობაში და ამ სუბიექტების ფარგლებშივე შეიქმნას საჭირო სიმძლავრეები.

საერთო ჯამში, საქართველომ და მისმა განვითარების პარტნიორებმა, წარსულში მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით, შეზღუდული ეროვნული თუ საერთაშორისო საზოგადოებრივი რესურსების პირობებში, უნდა განავითარონ ფერმერული კოოპერაცია აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში. საქართველოში მხოლოდ ისეთ სერვის-კოოპერატივებს აქვთ წარმატების შანსი, რომლებიც ფოკუსირებულნი არიან არა პროდუქციის ერთობლივ წარმოებასა და სასოფლო-სამეურნეო აქტივების ერთობლივ ფლობაზე, არამედ ძვირადღირებული ტექნიკის ერთობლივ გამოყენებაზე, ნედლეულისა და მასალების ერთობლივ შეძენასა და ერთობლივ მარკეტინგზე.

1990-იან წლებში საქართველოში მიწის პრივატიზაციის ქაოტურმა პროცესმა გამოიწვია მიწის ნაკვეთების ზედმეტად დანაწევრება, რაც ხელს უშლის დიდი მასშტაბების საჭიროების მქონე აგრარული ბიზნესების განვითარებას. შედეგად, იჯარით გაცემული, გაყიდული ან სოფლის მეურნეობის თანამედროვე ფერმებში სხვა გზით კონსოლიდირებული მცირე მიწების (რომელთა ფართობიც, უმეტესად, 1 ჰა-ზე ნაკლებია) წილი განუწყვეტლივ იზრდება (განსაკუთრებით კახეთში).

მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარვეზებისა და სოფლის მეურნეობის გარეთ დასაქმების არასახარბიელო პერსპექტივების მიუხედავად, პროცესი აუცილებლად გაგრძელდება. შესაძლოა, წარმოების კოოპერატივებში მიწების კონსოლიდაციის საბჭოური მოდელები (მაგ.: კოლხოზმა და სოვხოზმა) ეკონიმიკური თვალსაზრისით ლოგიკურია, მაგრამ 70-წლიანმა იძულებითმა კოლექტივიზაციამ უკვალოდ არ ჩაიარა და ეს მოდელი ფაქტობრივად მოკლა.

პრეზენტაციები:

- Crédit Agricole და სხვა მსგავსი ევროპული გამოცდილება. შეძენილი ცოდნა სოფლის მეურნეობის სექტორისთვის ფინანსებზე წვდომასთან დაკავშირებით. საფრანგეთში კოოპერატივების დაფინანსების მიმოხილვა – ბერნარ ფუკე;
- ფინანსური ინსტრუმენტები კოოპერატივებისათვის – ხუან ეჩანოვე;
- კოოპერატივების წლიური გამოკითხვის შედეგები: ფინანსებზე წვდომა – ირაკლი კოჭლამაზაშვილი;
- სააგენტოს კოოპერატივების მხარდამჭერი პროგრამები: წარსული და მომავალი გეგმები – გიორგი მიშელაძე;
- დაბრუნებადი საგრანტო ფონდი ENPARD-ის მხარდაჭერილ კოოპერატივებში – სილვია სანხუან მუნოსი;
- AFD-ს მხარდაჭერა მცირე ფერმერებისა და კოოპერატივებისათვის ფინანსებზე წვდომის კუთხით: მსოფლიო გამოცდილება და პერსპექტივები საქართველოში – ვირჯინე დაგო;
- ღირებულებათა ჯაჭვის დაფინანსების მოდელი, „დარჩელის თხილის“ მაგალითი – ტაილერ გრინი.

ენპარდის პროგრამის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, ეწვიეთ: http://enpard.ge

*ამ ფორუმის ფინანსური მხარდამჭერია ევროკავშირი და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობა. შეხვედრის შინაარსი არის მხოლოდ ორგანიზატორების პასუხისმგებლობა და არავითარ შემთხვევაში არ გამოხატავს ევროკავშირისა და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის პოზიციას.*